პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 145 (13230) | სამშაბათი, 22 ივნისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი პატაკი

საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი შ. მირიანაშვილი, რარსაბეოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. დათუაშვილი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ვ. კოზაევი რედაქციას ატყობინებენ, რომ რაიონის მშრომელებმა 20 ივნისისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 14.083 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 11.260 ცენტნერისა.

გარდაბნელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 13.800 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 13.546 ათასი ცალისა, 1.724 ცენტნერი მატყლი ნაცვლად 1.694 ცენტნერისა. გასულ წელთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა ხორცი 400 ცენტნერით, მატყლი 180 ცენტნერით, კვერცხი 2.600 ათასი ცალით მეტი.

სართიჭალის მერძევეობა-მეძოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში 1.350 ძროხა ჰყავთ. მეცხოველეობის ფერმის მუშაკთა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დევიზით სახელმწიფოს მივყიდოთ გეგმის ზევით ათობით ტონა რძე!

სართიჭალელი მეცხოველეები ამ ვალდებულებას გადაჭარბებით ასრულებენ. მათ აწარმოეს და 20 ივნისისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 12.083 ცენტნერი რძე, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.000 ცენტნერით მეტია, ხოლო ნახევარი წლის გეგმასთან შედარებით 53 ცენტნერით მეტი.



კომგაინერთა შეჯიბრებიდან ბიბლიოთეკა

ინიციატორი ამ დღეებში

სიღნაღი, („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ამას წინათ „კომუნისტში“ დაიბეჭდა სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინერის სიმონ ბეჟანიშვილის მიმართვა საქართველოს ყველა კომბაინერისადმი. შეჯიბრების ინიციატორმა ს. ბეჟანიშვილმა ვალდებულება იკისრა 12 სამუშაო დღეში მომკას 200 ჰექტარი თავთავიანი კულტურები ნაცვლად 120 ჰექტარისა.

ს. ბეჟანიშვილი წარმატებით შრომობს და უდანაკარგოდ იღებს მოსავალს. 21 ივნისისათვის მომკილი ჰქონდა 74 ჰექტარი და გალეწილი აქვს 117 ტონაზე მეტი მარცვალი. იგი ყოველდღიურად აღწევს საწვავ-საცხები მასალის ეკონომიას და ამცირებს ყოველი ცენტნერი მარცვლის გალეწვის თვითღირებულებას. რაიონში ფართოდ გამოეხმაურნენ თანამოსაქმის თაოსნობას, გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის 12 სამუშაო დღეში უდანაკარგოდ აღებისათვის, რასაც ოპერატიულად აშუქებს რაიონული გაზეთი „კოლმეურნე“.

დაწინაურდა გ. ჯამალაშვილი

თელეთის საბჭოთა მეურნეობაში პიონერული მოძრაობა. კომბაინერები გავიდნენ მოსავლის ასაღებად. სულ ასაღებია 1.230 ჰექტარი. აქედან ხორბალი — 600 ჰექტარი, ქერი — 565 ჰექტარი, შვრია — 20 ჰექტარი.

ტიბაანელი კომბაინერის ს. ბეჟანიშვილის მაგალითისმებრ 8 კომბაინერმა გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის 12 სამუშაო დღეში აღებისათვის. თვითეულმა ვალდებულება იკისრა მომკას 170 ჰექტარი ნაცვლად 140 ჰექტარისა. უკვე მომკილია პირველი 70 ჰექტარი და გალეწილია 107 ტონაზე მეტი მარცვალი. საშუალოდ ჰექტარზე ლეწავენ 14-16 ცენტნერ მარცვალს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის მეურნეობის დირექციამ, პარტბიურომ და მუშათა კომიტეტმა დაწესეს გარდამავალი წითელი შედეგებით დაწინაურდა კომბაინერი გიორგი ჯამალაშვილი, რომელიც დღეში თვითმავალი კომბაინით მკის 10 ჰექტარზე მეტს ნაცვლად 8 ჰექტარისა. ამავე დროს მოსავლის უდანაკარგოდ იღებს. პირველად გარდამავალი დროშა გადაეცემა გ. ჯამალაშვილს.

მოსავლის აღებაზე ენერგიულად შრომობენ კომბაინერები ს. ასლანაშვილი, ბ. თურაზოვი, ა. ავეტისოვი.

ტემპი ძლიერდება

ცხინვალი. (სპეც. კორ.). უკანასკნელ დღეებში მოსულმა წვიმამ გამოაღვიძა ჩაის ბუჩქები. მეჩაიეებმა კი აზოტიანი სასუქებიც მიაშველეს.

თუ ივნისის პირველ ნახევარში დღეში იკრიფებოდა მხოლოდ 8-10 ტონა ჩაის ფოთოლი, ახლა ყოველდღიურად მატულობს კრეფის ტემპი. მაგალითად, 20 ივნისს რაიონში მოიკრიფა 14 ტონა, 21 ივნისს — 16 ტონაზე მეტი „წწვანე ოქრო“.

სულ რაიონში მოკრეფილია 1.600 ტონამდე „მწვანე ოქრო“. მაის-ივნისის გეგმის შესასრულებლად კიდევ მოსაკრეფია 260 ტონაზე მეტი. მაის-ივნისის გეგმები წარმატებით შესასრულეს თეძელეთისა და ხიდეს კოლმეურნეობებმა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კარგად იცნობენ სოფელ მუხურს, რომელიც ჩხოროწყუდან თხუთმეტიოდე კილომეტრზე მდებარეობს. ამ სოფლის ტყითა და ანკარა წყლით მდიდარი ადგილები ბავშვების საუკეთესო დასასვენებელი ადგილია. სოფლის ახლოს არის ცნობილი ლუგელას მინერალური წყალი.

სოფლის გორაკებზე კარგად ხარობს ჩაის პლანტაცია, რომელიც ათობით ჰექტარზეა გადაშლილი. ჩაის ბუჩქებსაც უხდება კურორტისათვის დამახასიათებელი ჰავა. ამიტომ მუხურელებმა შეიყვარეს ეს კულტურა. ახლა უხვად არის საკრეფი ფოთოლი, და მეჩაიეთა გაცხარებული შრომა დილიდან გვიან ღამემდე გრძელდება.

მუხურის კოლმეურნეობაში მრავალი მოწინავე ახალგაზრდა მეჩაიეა. ისინი თავდადებით შრომობენ. ამ სურათზე აღბეჭდილია ერთი მათგანი — ახალგაზრდა მოწინავე მეჩაიე რუზა ციირდავა, რომელიც დღეში 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ოსიპ ბროზ ტიტო მინსკში

20 ივნისს მინსკში სპეციალური მატარებლით ჩავიდნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი ოსიპ ბროზ ტიტო და იუგოსლავიის სხვა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეები.

ამავე მატარებლით ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ი. მიკოიანი.

იმავე დღეს ოსიპ ბროზ ტიტო ეწვია ბელორუსის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ვ. ი. კოზლოვს, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან პ. მ. მაშეროვს, ბელორუსის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ტ. ი. კისელიოვს. დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიკოიანი და სხვა ოფიციალური პირები.

მინსკის მცხოვრებნი წმიდად ინახავენ იმათ ხსოვნას, ვინც მამაცთა სიკვდილით დაეცა ბელორუსიის განთავისუფლებისათვის, შეეპოვრად იბრძოდა პარტიზანულ რაზმებსა და იატაკქვეშეთში. ამ გმირებს ხალხმა დიდებული ძეგლი აუგო გმირობის მოდგანზე.

20 ივნისს ამ მოედანზე, სადაც ჩამწკრივებული იყო სპატიო ყარაული, მოვიდნენ ამხანაგები ოსიპ ბროზ ტიტო და ა. ი. მიკოიანი, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეები.

დადგა ამაღელვებელი წუთი. ძეგლის კვარცხლბეკთან მიეტანეს გვირგვინი. ოსიპ ბროზ ტიტო, ა. ი. მიკოიანი და სხვები მდუმარედ დგანან ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნის პატივსაცემად.

შემდეგ სტუმრებმა დათვალიერეს რსრმპ I ყრილობის სახლ-მუზეუმი. ეს პატარა, მწვანეში ჩაფლული სახლი ქალაქის ცენტრში დგას.

ამხანაგები ოსიპ ბროზ ტიტო, ა. ი. მიკოიანი დიდი ყურადღებით გაეცნენ მუზეუმის ექსპონატებს. სპატიო სტუმართა წიგნში ოსიპ ბროზ ტიტომ რუსულ ენაზე ჩაწერა:

„ყველანი ძალზე მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა გვქონდა ჩამოვსულიყავით აქ, სადაც გაიმართა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის I ყრილობა. საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის ამ ყრილობას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს“.

სპატიო სტუმართა წიგნში ანასტას ივანეს-ძე მიკოიანმა ჩაწერა:

„დიდი მღელვარებით დავათვალიერე ფერი მისი კეთილდღეობისათვის! — ასეთია ჩვენი პარტიის საპროგრამო ამოცანა. ამ ამოცანას ყოველდღიურად ესმება ფრთები პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ხალხის პრაქტიკული მოღვაწეობით.

ასეთი პრაქტიკული მოღვაწეობის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია ამ დღეებში მოწვეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია, რომელმაც სპეციალურად განიხილა საკითხი — რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სესიამ ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვის დროს ხაზი გაუსვა პარტიის დიად მიზანდასახულობას, რომ კარგად მოწყობილი ყოფაცხოვრება, მომსახურების მაღალი კულტურა. მშრომელთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას, კეთილი მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებას, მშრომელთათვის კულტურული და მატერიალური დოვლათის სიუხვისა და ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ამოცანას ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად ემსახურება სამრეწველო და არასამრეწველო ხასიათის შვიდი ათასამდე ორგანიზაცია, 30 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე.

მარტო შარშან რესპუბლიკაში აშენდა 150-ზე მეტი ახალი კომბინატი, საამქრო, ატელიე, სახელოსნო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტი. მუშაობა გაიაზღა ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და ღებვის ახალმა მძლავრმა ფაბრიკებმა თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები მოწყობილია მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და ახალი საცხოვრებელი მასივების ტერიტორიებზე. მრავალ ქალაქსა და რაიონში მოსახლეობის უკეთ მომსახურებისათვის გამოყენებულია სპეციალური ავტოსახელოსნოები.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქში დაინერგა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმები. როგორიც არის ოთახების დალაგება, ბავშვების მოვლა მშობლების სამსახურში ან სხვა საქმეზე ყოფნის დროს, საქმიანი ქალაღლების ბეჭდვა და თარგმნა, ბევრგან მოეწყო კეთილმომსახურების ბიურონი, რომლებიც მოსახლეობას უწევენ სხვადასხვა სახის მომსახურებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გაწეული მუშაობა უთუოდ სერიოზული და ნაყოფიერია. მაგრამ, როგორც ეს სამართლიანად აღინიშნა სესიაზე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. განსაკუთრებით დაბალია სოფლის მოსახლეობის მომსახურების დონე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები ადგილზე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას და ხშირად უზრუნველობა-ბო მომსახურების სხვა ობიექტი. მუშაობა გაიაზღა ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და ღებვის ახალმა მძლავრმა ფაბრიკებმა თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები მოწყობილია მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და ახალი საცხოვრებელი მასივების ტერიტორიებზე. მრავალ ქალაქსა და რაიონში მოსახლეობის უკეთ მომსახურებისათვის გამოყენებულია სპეციალური ავტოსახელოსნოები.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქში დაინერგა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმები. როგორიც არის ოთახების დალაგება, ბავშვების მოვლა მშობლების სამსახურში ან სხვა საქმეზე ყოფნის დროს, საქმიანი ქალაღლების ბეჭდვა და თარგმნა, ბევრგან მოეწყო კეთილმომსახურების ბიურონი, რომლებიც მოსახლეობას უწევენ სხვადასხვა სახის მომსახურებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გაწეული მუშაობა უთუოდ სერიოზული და ნაყოფიერია. მაგრამ, როგორც ეს სამართლიანად აღინიშნა სესიაზე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. განსაკუთრებით დაბალია სოფლის მოსახლეობის მომსახურების დონე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები ადგილზე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას და ხშირად უზრუნველობა-

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ერთ სიტემაში გასაერთიანებლად, დღეისათვის ეს სამუშაო დამთავრებული არ არის. მრავალ უწესებას ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს საყოფაცხოვრებო მომსახურების 90-ზე მეტი ობიექტი და საწარმო: საჭიროა უახლოეს ხანში საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა ძირითადი საწარმო და ობიექტი გადაეცეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს. ამასთან კვლავაც უნდა განხორციელდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა გამსხვილება და სპეციალიზაცია.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ დარგში კადრების სწორად შერჩევას, მომზადებასა და განაწილებას. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება რთული და მეტად პასუხსაგები საქმეა. აქ საჭიროა ისეთი კადრები, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ არა მარტო სათანადო ტექნიკური და ზოგადი განათლება, არამედ ამასთან ერთად უნდა იყოს საქმის მოყვარულნი, პატიოსანი და, რაც მთავარია ერკვეოდნენ იმ დიდ ამოცანებში, რომლებსაც მათ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში უსახავენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ განხილული დიდმნიშვნელოვანი საკითხის გამო მიიღო დადგენილება, რომელშიც მკაფიოდ არის მოცემული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების გზები და საშუალებები. ახლა მთავარია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველომ, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარებით და ხელშეწყობით, ყველა ღონისძიება მიიღოს მუშაობის გარდასაქმნელად.

ეს იქნება ღირსეული წვლილი საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლების პატრიოტულ საქმეში.

ДАЗАЧИНАЛ ГЕОРГИЙ ДЖАМАЛАШВИЛИ

ДОКЛАД ГЕОРГИЯ ДЖАМАЛАШВИЛИ

ДОКЛАД ГЕОРГИЯ ДЖАМАЛАШВИЛИ

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება კრემლში

19 ივნისს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტთან, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურ მდივანთან ოსიპ ბროზ ტიტოსთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი და სხვები.

იუგოსლავიის მხრივ მოლაპარაკებაში ოსიპ ბროზ ტიტოსთან ერთად მონაწილეობდნენ საკავშირო სკუაშჩინის დეპუტატი და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ჯურო პუცარი, საკავშირო სკუაშჩინის დეპუტატი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის კომისიის ხელმძღვანელი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი კოჩა პოპოვიჩი, საკავშირო სკუაშჩინის დეპუტატი, იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის გენერალური მდივანი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი მილენტიე პოპოვიჩი და სხვები.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და გულითადობის ატმოსფერში მიმდინარეობდა, განხილულ იქნა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე. (საქდესი).

ВОСКОВОЙ ЧАМОВИЦЕНЕ ИРАНИС ШАХИНШАХИ ДА ДЕДОФАЛИ

МОСКОВИ, 21 ივნისი. (საქდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდნენ მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და მისი უდიდებულესობა ირანის დედოფალი ფარაჰ ფეჰლევი.

ვნუკოვოს აეროდრომზე საპატიო სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და სხვები.

შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და მიცემულ იქნა ერთი სალუტი 21 საარტილერიო ზალპით.

ВОСКОВОЙ ЧАМОВИЦЕНЕ ИРАНИС ШАХИНШАХИ ДА ДЕДОФАЛИ

ВОСКОВОЙ ЧАМОВИЦЕНЕ ИРАНИС ШАХИНШАХИ ДА ДЕДОФАЛИ

ВОСКОВОЙ ЧАМОВИЦЕНЕ ИРАНИС ШАХИНШАХИ ДА ДЕДОФАЛИ

მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმში

18 ივნისს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ახალი შემადგენლობის პირველი სხორგანიზაციო სხდომა.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ ერთსულოვნად აირჩიეს მწერალი ნ. ს. ტიხონოვი. მისი პირველი მოადგილე გახდა მწერალი ა. ე. კორნეიჩუკი, მოადგილეები — ა. პ. ბოიკოვი — ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, გაზეთ „პრავდის“ მიმომხილველი გ. ა. ეუკოვი, აკადემიკოსი ე. კ. ფედოროვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი ვ. მ. ჩხიკვაძე და მწერალი ი. გ. ერენბურგი.

კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად დამტკიცებულია მ. ი. კოტოვი. (საქდესი).

ФРИАЛЕБЗ СПАРТАКИАДИС АЛАМИ

20 ივნისს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს პროფკავშირების IV საზაფხულო რესპუბლიკური სპარტაკიადის გახსნა. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ გაიმართა სპორტსმენთა მასობრივი საჩვენებელი გამოსვლები და შეჯიბრებები.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ ამხანაგები: მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მეკავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუკვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ე. ჩერქეზია.

(სპარტაკიადის გახსნის ანგარიშს ვბეჭდავთ მე-4 გვერდზე).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი იღებს ნაშრომებს 1966 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად.

ლენინური პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომების განხილვაში საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, კომიტეტმა ნაშრომთა წარმოდგენის ვადად დაადგინა არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა ყოველწლიურად.

კომიტეტი აცნობებს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომ სანამ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას ლენინური პრემიების მოსაპოვებლად ნაშრომთა წარდგენის შესახებ, საჭიროა საზოგადოებრიობამ წინასწარ ფართოდ განიხილოს ეს ნაშრომები და ყოველმხრივ იმსჯელოს ავტორთა კოლექტივის თვითეული კანდიდატის შემოქმედებითს წვლილზე.

ამასთან დაკავშირებით მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი სთხოვს ორგანიზაციების, დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებრიობას უახლოეს ხანში მოაწყონ ფართო საზოგადოებრივი განხილვა, დაასახელონ ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომები და მათი ავტორთა კოლექტივები, და ყველა მასალა გაფორმებისთანავე გამოუგზავნონ კომიტეტს.

1965 წლის 15 ოქტომბრის შემდეგ მიღებულ ყველა მასალას კომიტეტი განიხილავს შემდეგ სესიაზე იმ ნაშრომებთან ერთად, რომლებიც წარმოდგენილი იქნება 1967 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად.

ლენინური პრემიების მოსაპოვებლად ნაშრომთა წარდგენის მასალები, აგრეთვე მათ გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა შეკითხვა უნდა გამოიგზავნოს მისამართით: ქ. მოსკოვი, ი-51 ნეგლინნაია 29/14, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი.

საქართველოს სტუმრები

საქართველოში სტუმრად იმყოფებიან ჩეხოსლოვაკიის სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სამმართველოს თავმჯდომარე მ. შტანცელი და მისი მოადგილე ი. ტესარჟი. ისინი ეწვნობიან რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობის პრაქტიკას.

კვირადღე ჩვენმა სტუმრებმა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობაში გააკარეს. მათ აინტერესებდათ არტელის წარმოების ორგანიზაცია, კოლმეურნეობის წევრებისათვის პენსიათა დანიშვნის წესი. აქ შესაბამისად კანონისა, კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარების შესახებ, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო, პენსიებს იღებს 861 კაცი, ამასთან 300 მათგანი კვლავ შრომობს კოლმეურნეობაში. თითოეული მოხუცებულობის გამო იღებს პენსიას საშუალოდ 30 მანეთს.

ჩეხოსლოვაკიელმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფა მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ ზრუნვას საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის.

გუშინ, 21 ივნისს, მ. შტანცელი და ი. ტესარჟი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სარაძემ. მან სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა, სოციალური უზრუნველყოფის წარმატებანი. წელს საქართველოს მუშათა და მოსამსახურეთა პენსიებსა და დამატებისათვის ასიგნებულია 26 მილიონი მანეთი.

საუბარში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა მ. ე. თოფურიძემ.

გუშინ ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები კვლავ ეცნობოდნენ საქართველოს, იყვნენ მცხეთაში, შემდეგ ისინი გაეცნენ ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მუშაობას, იყვნენ სოფლანლუღის უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო საწარმოში. (საქდესი).

ГУРДЖААН-ТЕЛАВИС УБАНИ ЭЛЕКТРИФИЦИРЕБУЛИА



ЗАРОМИТИ გამარჯვებით აღნიშნა ამერიკავკასიის მაგისტრალის კოლეტივმა მომავალი რკინიგზელის დღე: მან გრაფიკის დიდი გასწრებით დაამთავრა მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადასცა კახეთის ელექტრიფიცირებული უბანი. გუშინ 21 ივნისს, გურჯაანის სადგურიდან თელავის მიმართულებით გავიდა პირველი ელექტრომატარებელი. იგი მიჰყავდა ამერიკავკასიის რკინიგზის ერთ-ერთ საუკეთესო მემანქანეს ი. კიკნაძეს. ამ რეისით დაიწყო ელექტრომატარებლები ს რეგულარული მიმოსვლა თბილისს-თელავის ხაზზე.

თელაველები დიდი სიხარულით შეხვდნენ პირველ ელექტრომატარებელს, ბაქანი მორთულია ალმებით, ლოზუნგებით, ყვავილებით.

გაისმის ორკესტრის ხმა, მჭუხარე ტაში. ელექტრომატარებელი ნელა უახლოვდება იმ ადგილს, სადაც მას გზას უღობავს წითელი ლენტი. ამერიკავკასიის მაგისტრალის უფროსმა გ. ი. ქადაგიძემ გადაჭრა იგი. „სემაფორი“ გახსნილია.

იწყება კახეთის ელექტრიფიცირებული უბნის მშენებლობის დამთავრებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი. მას შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ა. ვარდოშვილი.

სიტყვა ეძლევა ამხ. ქადაგიძეს. მან თქვა, რომ ფოლადის მაგისტრალების მშრომელები რკინიგზელის დღეს ეგებებიან მნიშვნელოვანი წარმატებით. წარმატებით ხორციელდება რკინიგზების ძირეული ტექნიკური რეკონსტრუქციის პროგრამა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ მიიღო. ელექტრიფიკაციის ლენინური იდეები გადაიქცა შთამაგონებელ, გარდამქმნელ ძალად ამერიკავკასიის რკინიგზის ტექნიკურ აღჭურვაში. ამ ბოლო წლებში ელექტრიფიცირებულია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა ხაზის 88 პროცენტი.

სიტყვას ამბობს საგზაო სარემონტო-სამშენებლო ტრესტის თბილისის სამშენებლო უბნის უფროსი ე. ამაშუკელი.

ტრიბუნაზეა ძველი რკინიგზელი, პენსიონერი დ. მაღალაშვილი.

გულთბილი მადლობა უძღვნეს სამშობლოს, პარტიას, მთავრობას № 269 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის საუმუშაოთა მწარმოებელმა ვ. სლუშამ, ხალხურმა მთქმელმა ს. ჩანგაშვილმა და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ წაიკითხა ბრძანებულება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ მუშაკთა ჯგუფის დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს კახეთის ელექტრიფიცირებული უბნის მშენებლობასა და საექსპლოატაციოდ გადაცემაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. მ. ლილაშვილმა დაჯილდოებულთა გადასცა საპატიო სიგელები.

მიტინგს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ი. ფრუიძე.

Ო. სამხარაძე.
საქდესის სპეც. კორ.
გურჯაანი-თელავი.

* * *

სურათზე: ქ. თელავის მცხოვრებლები ეგებებიან პირველ ელექტრომატარებელს.

ფოტო გ. კიკვაძისა და მ. თელიაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ასე შრომობენ სოფელ მლაშის კომუნისტები

პირადი მაგალითი

მლაშეში, რომელიც ტყის ნაპირიდან ბაზალეთის ტბას ზემოდან დაჰყურებს, დილის 9 საათზე მივედით, მაგრამ იქ უკვე კაცის ჭაჭანება აღარ იყო. მთელი სოფლის ბატონ-პატრონი მოხუცი ყიდო არაჩაშვილი გახლდათ, რომელიც კოლმეურნეობის საწყობის წინ ფუსფუსებდა. ძია ყიდოს ადრევე ვიცნობდი. ეს მაღალი, ჭარმაგი ვაჟკაცი იყო ამ სოფელში საკოლმეურნეო ცხოვრების პირველი ორგანიზატორი. მერე წლები რომ გავიდა, დაღლილსა და გაჭაღარავებულს თანასოფელელებმა დასვენება შესთავაზეს, მაგრამ იუარა: დასვენება მაშინ მეყოფა, როცა იმ ქვეყანაში წავალო. ადგა მოხუცი და საწყობის ყარაულობა იკისრა.

მივედით, მოკრძალებით მივესალმეთ, მერე ბრიგადირისა და პარტორგანიზაციის მდივნის ადგილსამყოფელი ვკითხეთ.

— გეტყობათ ძილი გეკვარებიათ, — იხუმრა ყიდომ, — აქამდე იმათ სოფელში რა გაჩერებღა, ყველანი სამუშაოდ არიან.

— თუ შეიძლება, გასძახე!

მოხუცი სიამოვნებით დაგვეთანხმა და დასაძახებლად მახლობელ გორაკზე წავიდა.

მლაშე დუშეთის რაიონის ბაზალეთის კოლმეურნეობაში შემავალი სოფელია და იწოდება მე-9 ბრიგადად, რომელსაც კომუნისტი ილია წიკლაური ხელმძღვანელობს. შარშან მლაშელებმა მთელ რაიონში გაითქვეს სახელი უხვი მოსავლის მოყვანით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით. ბრიგადაში 130 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე ნაცვლად 13 ცენტნერისა მიღებულ იქნა 14 ცენტნერი ხორბალი. 86 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ქექტარზე აიღეს 48 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 18-ისა. გადაჭარბებით შესრულდა ქერისა და კარტოფილის მოსავლიანობის გეგმები. საერთო ანგარიშით ბრიგადამ ჰექტარზე 418 მანეთის პროდუქცია აწარმოვა.

მე-9 ბრიგადას თითქმის იხეთივე ბუნებრივი პირობები აქვს, როგორიც მეორე ბრიგადას (ბრიგადირი სულხან ფოლოდაშვილი), მაგრამ ამ ჰექტარზე მხოლოდ 232 მანეთის პროდუქცია მიიღეს. ამრიგად, ერთნაირ პირობებში, შრომის ერთნაირი დანახარჯით მე-9 ბრიგადამ თითქმის ორჯერ მეტი პროდუქცია აწარმოვა, ვიდრე მეორემ.

როცა პირველად ამ ციფრებს გავეცანი, დამაინტერესა, შრომის რა მეთოდებით მიაღწიეს მლაშელებმა ამ მაჩვენებლებს, რაში მდგომარეობდა მათი წარმატების საიდუმლოება?

ბრიგადაში ზუსტად იცავენ აგროწესებს, კარგად იციან მიწის ყადრი. ცდილობენ ფართოდ დანერგონ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები. მაგრამ მთავარი მაინც ადამიანია, რიგითი კოლმეურნეების შრომის ხალისია, უამისოდ წარმოუდგენელი იქნებოდა რაიმე სერიოზული წინსვლა, წარმოების რა დარგიც უნდა იყოს.

კომუნისტებს, რომლებიც ბრიგადაში შრომობენ, კარგად ახსოვთ, რომ ადამიანის ყოფაცხოვრება, მისი განწყობილება, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი მისი დამოკიდებულება პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხია.

მლაშის პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ლევან თანიაშვილი ხელმძღვანელობს, ორი ბრიგადის 20 კომუნისტს აერთიანებს. ისინი განაწილებული არიან წარმოების გადამწყვეტ უბნებზე და, შრომის რა უბანიც უნდა ებრძოდ, ყველგან და ყოველთვის ასრულებენ კომუნისტის ავანგარდულ როლს.

ᲕᲐᲙᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

— პატარძლის პატრონი კი არა, ექვსი შვილის მამაა, მაგრამ ჯერ ცოლთან ხელი არ ჰქონდა მოწერილი, ახლა კი დასჭირდა მმაჩის ბიუროში ხელმოწერა.

ამ საუბარში რომ ვიყავით, ტყიდან გამოვიდა ახალგაზრდა, რომელსაც მხარზე თოხი გაედო. ილიას დანახვაზე ბიჭს რატომღაც შერცხვა, შეჩერდა და უკან წასვლა დააპირა.

— მოიცა, სად მიდიხარ? — უთხრა ბრიგადირმა.

— ასე დაგვიანებით როგორ მივალ ყანაში, — თქვა ახალგაზრდამ.

— ნუ გრცხვენია, მიდი, უთხარი ტყეში ბრიგადირმა გამიშვა-თქო.

— მრცხვენია, ძია ილია!

— რო გეუბნები, გაიგონე, სირცხვილი მაშინ იქნებოდა, უნებართვოდ რომ წასულიყავი, გაიგე?

— გავიგე, ძია ილო, — თქვა ბიჭმა და ქვევით ყანებისკენ დაეშვა.

ის ბიჭი ითვგზ გიგაური აღმოჩნდა. მის საქციელზე მე ვიგრძენი, თუ როგორ ერცხვინებათ მლაშელებს, როცა საზოგადო-სამამო საქმეს გამოაკლდებიან. ესეც. ალბათ, უფროსების, კომუნისტთა პირადი მაგალითით შეძენილი თვისებაა.

თვით პარტორგი ლევანი ვაჟკაცურად შრომობს, მოსავლელად ჩაბარებული აქვს ერთი ჰექტარი სიმინდი. ნახევარ ჰექტარამდე კარტოფილი და ჭარხალი, უკვე ორჯერ გათოხნა. აბა სხვებს ხომ არ ჩამორჩება!

კომუნისტები და მათი ოჯახის წევრები ავანგარდში დგანან, მაგრამ ეს ხომ არ კმარა. როგორ შრომობენ დანარჩენი კოლმეურნეები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა?

ᲖᲔᲠᲘ მოწონავე ჰყავს სოფელს, რომლებიც უხმაუროდ აკეთებენ დიდ საქმეს და სერიოზულ წარმატებებსაც აღწევენ. შარშან, მაგალითად, კოლმეურნე ოლია კობაიძემ ერთი ჰექტარი სიმინდის ნათესიდან 62 ცენტნერი სიმინდი მიიღო, რისთვისაც მარტო პრემიის სახით ოჯახს ორ ტონაზე მეტი სიმინდი შემატა. ქექტარზე 58 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა ციცინო თოთიაურმა. მას არ ჩამორჩენ ეუუუნა დიდებაშვილი, ნაზი ქერდიკაშვილი და სხვები. კარტოფილის მოყვანაში თავი ისახელეს თებრო ჯანაშვილმა, შაქრო ჩიგოშვილმა, ელო ჩერქეზიშვილმა...

ილია წიკლაური გატაცებით ყვებოდა:

— საინტერესო ადამიანია ჩვენი ბრიგადის წევრი თებრო ჯანაშვილი, ამ ხანდაზმულ ქალს უშრომლად გაძლება არ შეუძლია, წელსაც სიმინდის კარგი მოზრდილი ნაკვეთი ჩაიბარა და დილიდან დაღამებამდე იქ ტრიალებს. ჩვენი საუკეთესო აგიტატორია. თვითონაც ბეჯითობს და სხვასაც ამეჯითებს. თებროსთანა ვაჟკაცი ქალი არცთუ ცოტა გვყავს.

— მოგეხსენებათ, რომ ჩვენს სოფელში ავტომანქანა და ტრაქტორი ყველგან როდი უდგება, ამიტომაც პატივს ვცემთ ხარსა და კამეჩს. ალანიშნავი არიან ჩვენი მებრეკები, ვაჟკაცები, რომლებიც პირუტყვსაც კარგად უვლიან და მოსავალიც კარგი მოპყავთ. დაიწერეთ მათი გვარები: ლადო ეიეიანური, გოგია ნარიმანიძე, ვასო თოთიაური, გრიგოლ ბედოშვილი...

— ამ გზაფხულზე ჩემთან პატარა გოგონა მოვიდა, რომელმაც მთხოვა მოსავლელად მიმეცა მისთვის ერთი ჰექტარი სიმინდის ნათესი, დუშეთის ზოოვეტტექნიკუმში ვსწავლობ და პრაქტიკაში ჩამეთვლებაო. სიმართლე გითხრათ, შემენანა პატარა გოგო და ერთი ჰექტარი არა და იმის ნახევარი კი ჩავბარე. ციცინო გიგაური საუკეთესოდ უვლის თავის ფართობს. თურმე ამას როდი დასჯერდა. ნახევარი ჰექტარი სიმინდი ტექნიკუმში აუღია დამატებით.

...ორლობეში ერთბაშად ავტომანქანის გუგუნი შემოიკრა, მანქანა გაჩერდა და კაბინიდან ლევან თანიაშვილი გადმოხტა, უოდომ და ილიამ ხუმრობით „გაბედნიერება“ მიულოცეს ლევანს. საუბარი გაგრძელდა.

— ახალგაზრდობა ისწრაფვის პარტიისაკენ. ამას წინათ ჩვენი ციცინო თოთიაური გამოგვიტყდა, პარტიაში შესვლას ვფიქრობო. ძომბაკალ კრებაზე პარტიის წევრობის კანდიდატად მივიღეთ თედო ბედოშვილს.

— ვიმუშაოთ ყველაზე უკეთესად, კეთილსინდისიერად, მივაღწიოთ ყველაზე მაღალ მოსავალს, სრულად გამოვიყენოთ წარმოების გადიდების ყველა რეზერვი და საშუალება! — აი მლაშელი კომუნისტების მტკიცე გადაწყვეტილება.

მერე ლევანი ლაპარაკობდა იმაზე, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა მიგვითითა გავაძლიერით ყოველდღიური ზრუნვა ადამიანებისათვის, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, რომ ეს საკითხი უნდა იყოს მთავარი და განმსაზღვრელი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში.

ამ მხრივ მლაშელებს შეუძლიათ იამაყონ. ამ დღეებში დამთავრდა სოფლის კლუბის რემონტი. სოფელში უჩვენებენ კინოსურათებს, მლაშელებს აქვთ ელექტრობა, სამკითხველო, რადიოკაელი, წისქვილი...

ყიდო არაჩაშვილმა, რომელიც საუბარს ყურადღებით უსმენდა, ვერ მოითმინა:

— გზები არ გვიკარგა!

— მართალია, — დაუმატა ილიამ, — გზები აუცილებლად უნდა შევაკეთოთ, ისე რომ ავტობუსი დადიოდეს ჩვენს სოფელსა და დუშეთს შუა. ამაში დახმარება გამგეობის თავმჯდომარემ ოთარ მამულაშვილმა უნდა გაგვიწიოს. არა, ამხანაგო ალიოშა? — მიუბრუნდა კოლმეურნეობის მთავარ ბუხმალტერს ალ. სვანიძეს.

მჯერა მათი, ვიცი, რომ მლაშეს მალე ექნება კარგი გზა. ეს იმავე აუცილებელია, როგორც წლევანდელი წლის უხვი მოსავალი, რომლისთვისაც იბრძვის მთელი სოფელი, თვითეული კოლმეურნე, პირველ რიგში კი კომუნისტები, რომელთა პირადი მაგალითი აღაფრთოვანებს ყველას უკეთესი ვერმისისათვის ბრძოლაში.

Ა. ᲗᲝᲛᲝᲛᲐᲫᲔ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ.

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

როცა მონდომებაა...

შესანიშნავი სახე ეძლევა ყოფილ ნარიონერს ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

ახალი კონსტიტუციისათვის მგადება რუმინეთში

ბუქარესტი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარედ 18 ივნისის დამფუძნებელ სხდომაზე ერთსულოვნად არჩეულია რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნიკოლაე ჩაუშესკუ. არჩევის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ნ. ჩაუშესკუმ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ სოციალიზმის მშენებლობაში დიდი გამარჯვებანი მოიპოვო. ამ ფაქტიური მდგომარეობის განმტკიცებისათვის მან წინადადება წამოაყენა კონსტიტუციის პროექტში გათვალიწინებულ იქნეს რუმინეთის სახელმწიფოს სახელწოდების შეცვლა და ეწოდოს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა.

ᲞᲘᲔᲠᲔ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

სიტყვა წარმოთქვა რა ჰავანის ეროვნული უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტომატოლოგიური განყოფილების კურსდამთავრებულთა საზეიმო საღამოზე, კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ეროვნული კადრების მომზადების საქმეში, კადრები კი აუცილებელია ქვეყნის განვითარების ფართო გეგმების შესრულებისათვის. მან ხაზი გაუსვა, რომ კუბის უნივერსიტეტები მუდამ იყვნენ რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულნი და მოუწოდა შეინარჩუნონ ეს სულისკვეთება.

ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

პეკინი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე უმეთაურებს ჩინეთის სახალხო. რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი. დელეგაციის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩენ ი.

რაბათი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მაროკოს შეუე ხასან მეორე უმეთაურებს მაროკოს დელეგაციას აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეორე კონფერენციაზე, რომელიც ალჟირში გაიმართება.

ალჟირი. (საკდესი). სუდანის რესპუბლიკამ მიიღო მიწვევა მონაწილეობა მიიღოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეორე კონფერენციის მუშაობაში. ამრიგად, ნათქვამია ცნობაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, უკვე 50 ქვეყანა დათანხმდა მიიღოს მონაწილეობა აფრიკა-აზიის კონფერენციაში.

ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

□ ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ □ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲚᲐᲞᲝᲢᲨᲘ ᲓᲒᲔᲑᲐ □ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ.

პარიზი, 19 ივნისი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს ალჟირში გამოქვეყნდა და რადიოთი გადაიცა ალჟირის რევოლუციური საბჭოს კომუნიკე, რომელსაც საბჭოს სახელით ხელს აწერს ხუარი ბუმედიენი.

„თუმცა ეროვნული სუვერენიტეტი უკვე სამი წელია არსებობს, — ნათქვამია კომუნიკეში, რომლის ტექსტი ფრანს პრესის სააგენტომ გადმოსცა, — ალჟირში ხშირია საიდუმლოდ მოწყობილი ინტრიგები, შეთქმეტები სხვადასხვა ტენდენციებსა და დაჯგუფებებს შორის, რომლებიც აღორძინდა, რათა ხელი შეუწყოს ძველ ხრიკს: „გათიშე და იბატონე“.

ეროვნული სახალხო არმია, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, „არავის არ მისცემს საშუალებას მოსწყვიტონ იგი ხალხს“. „ადამიანები, რომლებმაც დღეს გადაწყვიტეს გამოხმაურონ ალჟირელი ხალხის საგანგაშო მოწოდებას და განახორციელონ მისი უძვირფასესი მისწრაფებანი, მიზნად ისახავენ დაეხმარონ ხალხს დაიბრუნოს უზურპირებული თავისუფლება და გათელილი ღირსება“.

შემდეგ კომუნიკეში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „რა დიდი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ ადამიანის ამოცანებს, არავის არ შეიძლება ჰქონდეს იმის პრეტენზია, რომ მარტო იგი განსახიერებს ალჟირს, რევოლუციასა და სოციალიზმს“.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ შეიქმნა რევოლუციური საბჭო. საბჭომ განახორციელა ღონისძიებანი, რათა წესრიგისა და უშიშროების პირობებში უზრუნველყოს არსებულ ინსტიტუტთა საქმიანობა და სახელმწიფო საქმეთა სწორი წარმართვა. გარდა ამისა, იგი „შეეცდება პირობები შექმნას სერიოზული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის, რომლის მართვას საფუძვლად დაედება კანონი და გარკვეული პრინციპები... როცა, ამრიგად აღდგენილ იქნება სტაბილურობა და ნდობა, რევოლუციური საბჭო დაიწყებს ჩვენი ეკონომიის მოწესრიგებასა და აღორძინებას“. სოციალიზმმა, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის სპეციფიკას, ნათქვამია კომუნიკეში, უნდა შეცვალოს სოციალიზმი, რომელსაც საფუძვლად უდევს კონიუნქტურა და რეკლამა. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ახლა მთელმა ალჟირმა უნდა იშრომოს „რევოლუციური ხელისუფლების განმტკიცებისათვის, რომელსაც საფუძვლად ექნება დემოკრატიული ცენტრალიზმის უფრო სწორი შეფასება, და ნამდვილად სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის“.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ალჟირში გაიხსნება აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია — „ყველაზე დიდმნიშვნელოვანი კონფერენცია, როგორიც კი შეიძლება მოიწვიონ მესამე სამყაროს ერთ-ერთ ქვეყანაში“. ის ფაქტი, რომ ალჟირი აირჩიეს ასეთი ასამბლეისათვის, ხაზგასმულია კომუნიკეში, „საშუალებას არ მოგვცემს, რომ ოდესმე დავივიწყოთ ნდობა, რომელიც ჩვენს ქვეყანას აღმოუჩინეს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებმა.

კომუნიკეში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საგარეო პოლიტიკის მხრივ ალჟირი ახლა უფრო. ვიდრე ოდესმე თავის უმაღლეს მოვალეობად ჩათვლის პატიოსნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი ყველა დარგში. დღედან, ნათქვამია კომუნიკეში, „ჩვენი საქმიანობა გაპირობებული აღარ იქნება სუბიექტივიზმით. იგი იქნება საშინაო პოლიტიკის საგარეო გაგრძელებაც, ხოლო საშინაო პოლიტიკის მიზანი იქნება სტაბილური და ეკონომიურად განვითარებული სახელმწიფოს შექმნა ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ძირითადი არჩევანის შესაბამისად, ჩვენი დიპლომატია, რომელიც ეფექტიანი და რეალისტური უნდა იყოს, მუდამ იხელმძღვანელებს იმ პრინციპებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ტრიპოლიში შეფასებულ პროგრამაში, და დადასტურებულია ალჟირის ქარტიით“.

პარიზი, 20 ივნისი (საკდესი). კანონიკუნტად მოდის ინფორმაცია ალჟირიდან რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ, რადგან კვლავ ბლოკირებულია სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქთან. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღეს ალჟირში სრული სიმშვიდეა.

გუშინ საღამოს პოლკოვნიკი ჰუარი ბუმედიენი გამოვიდა ალჟირის ტელევიზიით და წაიკითხა ალჟირის რევოლუციური საბჭოს ადრე გამოქვეყნებული კომუნიკე. საბჭომ თვითონ იკისრა მთელი ძალაუფლება.

როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, საბჭოში ოცდაათი წევრია. ესენი არიან სამხედრო პირნი და ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიუროს წევრები.

ფრანს პრესის სააგენტომ გადაცა აგრეთვე ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრის აბდელ აზიზ ბუტეფლიკას განცხადება. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ალჟირის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს ტრიპოლის პროგრამაში ჩამოყალიბებული და ალჟირის ქარტიით დადასტურებული პრინციპები. ეს პრინციპები მოითხოვენ, რომ საგარეო პოლიტიკა იყოს დამოუკიდებლობა, ეროვნული პოლიტიკა, მეუმეხრობლობისა და ყველა ქვეყანასთან მეგობრობის პოლიტიკა.

გუშინ ა. ბუტეფლიკამ საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში მიიღო ალჟირში აკრედიტებული უცხოეთის საელჩოთა მეთაურები და გააცნო მათ ალჟირის მდგომარეობა რევოლუციური საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით.

ალჟირი, 20 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ე. პოპოვი იტყობინებს:

ალჟირში სიმშვიდე და წესრიგია. ქალაქის ძირითადი მაგისტრალების ზოგიერთ გზაჯვარედინს ჯერ ისევ იცავენ ჯარები და პოლიცია, არსიის პოლიტაპამრთველოს რადიოფიცირებული მანქანები დადიან ქალაქში, მოუწოდებენ მოსახლეობას მშვიდად იყოს. გაიხსნა ყველა მაღაზია, კაფეები, რესტორნები და ბაზრები. ნორმალურად მუშაობს ქალაქის ტრანსპორტი, კომუნალური სამსახურები, საზღვაო ნაუსადგური, სამოქალაქო აეროდრომი.

კვირადღესთან დაკავშირებით დღეს მხოლოდ ერთი გაზეთი „ჰეკლი“ გამოვიდა, რომელშიც დაბეჭდილია რევოლუციური საბჭოს მიმართვა რესპუბლიკის მოსახლეობისადმი.

ალჟირი, 21 ივნისი. (საკდესი). ალჟერი პრეს სერვისის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ გაიმართა ალჟირის მთავრობის სხდომა, რომელზეც მოისმინეს ჰუარი ბუმედიენის მოხსენება ალჟირის რესპუბლიკის ვითარების შესახებ.

მიღებული იყო აგრეთვე გადაწყვეტილება ახალი დანიშვნების შესახებ მთავრობაში. კმეტ მედეკარი დანიშნულია შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად, ეკაუფთა მინისტრი თეჯინი ჰადამი შეასრულებს სოციალურ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და ომის ვეტერანების საქმეთა მინისტრის მოვალეობას, განათლების მინისტრი შერიფ ბელყასემი შეასრულებს აგრეთვე ინფორმაციის მინისტრის მოვალეობას.

ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲢᲐᲜᲔᲡ

სოფია, 19 ივნისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპუტათა საკრებო იუწყება: „ამ დღეებში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ განიხილა შეთქმულთა ჯგუფი 1965 წლის № 2 სისხლის სამართლის საქმე. ეს ჯგუფი შედგებოდა რამდენიმე უბადრუკი და ხალხს მოწყვეტილი ძალაუფლების მოყვარული პირისაგან, რომლებიც ავანტიურისტული, და კარიერისტული განზრახვით ხელმძღვანელობდნენ და ჩაიღიდნეს კანონთან შეუთავსებელი მოქმედება.

ბოლდებულებმა სასამართლოში თავი დამნაშავედ ცნეს და დაგმეს თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა.

სასამართლო სხდომაზე შემოწმებული საგამოძიებელი მასალების საფუძველზე და იმის საფუძველზე, რომ უდავოდ დამტკიცდა დანაშაული სოციალისტური კანონიერების მიმართ, სამხედრო კოლეგიამ მიუსაჯა: საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილ მოსამსახურეს ცოლო კრისტევ კამენოვს თავისუფლების აღკვეთა 15 წლით, ყოფილ ოფიცერს ივანე დიმიტროვ ველჩევს — თავისუფლების აღკვეთა 15 წლით, ყოფილ ოფიცერს ცვეტკო სტოიჩევ ანევს — თავისუფლების აღკვეთა 12 წლით, ყოფილ ოფიცერს მიჩო ერმენოვ მიჩევს — თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, ყოფილ ოფიცერს ლუბენ გეორგიევ დიმოვს — თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, ყოფილ ოფიცერს ბლაგოო გეორგიევ მავროდინოვს — თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, ეფრენალიტ ბორის მიხაილოვ ტემკოვს — თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, ყოფილ მაწყვლებელს აბრამ მარინოვ ჩერნევს — თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, ცენტრალური კოოპერაციული კავშირის ყოფილ მოსამსახურეს სტოიან რადოიკოვ მილანოვიჩს — თავისუფლების აღკვეთა 3 წლით პირობითი სასჯელის შეფარდებით.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲣᲠᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲝᲡ

ადის-აბება. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის სპეციალურმა კომიტეტმა (24 ქვეყნის კომიტეტი), რომლის სესიის საბოლოო სტადია ეთიოპიის დედაქალაქში მიმდინარეობდა, მიიღო რეზოლუციები სამხრეთ-დასავლეთ აფრიკისა და ბასუტოლენდის, ბეჩუანალენდისა და სვაზილენდის პროტექტორატების მდგომარეობის შესახებ. რეზოლუციათა პროექტები მოამზადეს აფრიკა-აზიის თორმეტი ქვეყნისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა.

რეზოლუციაში სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მდგომარეობის შესახებ დადასტურებულია ამ ტერიტორიის ხალხის თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლება და დაგმობილია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, მთავრობა იმისათვის, რომ ჯიუტად უარს ამბობს შეასრულოს რეზოლუციები, რომლებიც მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ და 24 ქვეყნის სპეციალურმა კომიტეტმა.

რეზოლუციის კანონიერად მიაჩნია სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ხალხის ბრძოლა თავისი უფლებებისათვის და მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს საჭირო მორალური და მატერიალური მხარდაჭერა გაუწიოს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის აფრიკელ მოსახლეობას, რათა ხელი შეუწყოს მის ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებაში.

რეზოლუცია შეიცავს მოთხოვნას, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ დაუყოვნებლივ გაიყვანოს ყველა სამხედრო ბაზა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე და ალარ მოუყაროს თავი ამ ტერიტორიაზე იარაღს ან ჯარებს არც სამშვიდობო, არც საგარეო მიზნით.

რეზოლუცია ურჩევს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ხალხის სუვერენიტეტს და ამ ქვეყნის ტერიტორიის მთლიანობას, თავიანთ მოკავშირეებად შეეხმაროს აფრიკის ქვეყნებს ეროვნული ორგანიზაციის მოქმედებას.

რეზოლუციაში ინგლისის სამი პროტექტორატის შესახებ გამოთქმულია დელეგატთა დიდი უმრავლესობის შიში იმის გამო, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა განუხრელად ესწრაფვის შთანთქას ეს ტერიტორიები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს მათი მთლიანობა და დაიჭეროს ამ ტერიტორიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხი გადაჭრა.

რეზოლუციაში დადასტურებულია ბასუტოლენდის, ბეჩუანალენდისა და სვაზილენდის ხალხთა თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის ხელმეუკარი უფლება.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ უშიშროების საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ იქნება ამ ტერიტორიათა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან შეერთების საფრთხე, რომლის მთავრობა ახორციელებს ექსპანსიონისტურ პოლიტიკას.

ამ რეზოლუციათა მიღების შემდეგ 24 ქვეყნის კომიტეტის თავმჯდომარემ ულანბლიან ნინადადება წამოაყენა მიიღონ საერთო რეზოლუცია, რომელშიც შეკრებული იქნება შედეგები კომიტეტის მუშაობისა აფრიკაში. მან განაცხადა, რომ ამ რეზოლუციამ მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ საერთაშორისო მშვიდობას საფრთხეს უქმნის კოლონიალიზმი და აპარტეიდი.

წინადადება მოეულოდნელი იყო და დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები მტრულად შეხვდნენ. მიუხედავად ამისა 15 ხმის უმრავლესობით რეზოლუცია მიღებულია. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ შვიდი სახელმწიფოს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა.

ამ რეზოლუციაში კომიტეტი გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ყურადღებას მიაქცევს ამ ტერიტორიებზე შექმნილ მდგომარეობას, რომლებსაც პორტუგალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სამხრეთ როდეზიის უკანონო ხელისუფალნი მართავენ და ურჩევს გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს განახორციელონ პოზიტიური ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ დამოკიდებულ ტერიტორიათა აფრიკელი მოსახლეობის უფლებების პატივისცემა, მათი თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლებანი და აღკვეთონ პორტუგალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და სამხრეთ როდეზიის უკანონო ხელისუფალთა საქმიანობა.

ამას გარდა, კომიტეტი სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანსა და ყველა სახელმწიფოს ყველაფერი იღონონ და რაც შეიძლება ფართოდ ამცნონ მსოფლიო საზოგადოებრიობას კომიტეტის მუშაობა, რათა საზოგადოებრიობამ შეიტყოს, თუ რა დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობას კოლონიალიზმი და აპარტეიდი.

რეზოლუცია შეიცავს თხოვნას ყველა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისადმი არ გაუწიონ დახმარება პორტუგალიას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სამხრეთ როდეზიის უკანონო ხელისუფლებს, სანამ არ შეწყვეტენ აპარტეიდის პოლიტიკის განხორციელებას.

ᲚᲘᲐᲜᲐ ᲘᲡᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

პარიზში მიმდინარეობს მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის მუსიკოსთა საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას იღებს ორი მევიოლინე და ოთხი პიანისტი. საბჭოთა მევიოლინეების ღირსებას იცავდნენ მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტები: **ლიანა ისაკაძე** (პროფესორ დავით ოისტრახის მოწაფე) და **ვლადიმერ სპივაკოვი** (პროფესორ იეფიმ ბინკევიჩის მოწაფე).

კონკურსში საბჭოთა პიანისტებიდან მონაწილეობენ: ლენინგრადის კონსერვატორიის სტუდენტი **ანეტა მაიზელი** (პროფესორ ბ. სერებრიაკოვის მოწაფე), მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტები: **დიმიტრი ნემიროვსკი** (პროფესორ ე. გილელსის მოწაფე), **ალექსი ჩერკასოვი** (პროფესორ ი. ზაკის მოწაფე) და მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტი **ელისაბედ ლეონსკაია.**

19 ივნისს დამთავრდა კონკურსი მევიოლინეთა შორის. **პირველი პრემია მიენიჭა ჩვენს თანამემამულეს მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტს ლიანა ისაკაძეს.** მეორე პრემია მიიღო იაპონელმა მევიდლინემ **იოკო კუბომ,** ხოლო მესამე — საბჭოთა მუსიკოსების წარმომადგენელმა **ვლადიმერ სპივაკოვმა.**

ჩვენი კორესპონდენტი გუშინ ტელეფონით დაუკავშირდა პარიზის სასტუმრო „ცენტრალს“, საიდაც იმყოფება ლიანა ისაკაძე. ეი რა უამბო ოქროს მედალოსანმა ჩვენს კორესპონდენტს:

— **უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასეთი მღელვარება ჯერ არასოდეს არ განმიცდია. ამ მღელვარებას ჰქონდა** მეორე ადგილი. ეს ამბავი ჩვენ ბოლოს ვიგეთ. ეს ამბავი ჩვენ ბოლოს ვიგეთ. ეს ამბავი ჩვენ ბოლოს ვიგეთ

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲐ

ᲗᲔᲐᲢᲠ „ᲐᲢᲔᲚᲘᲔᲡ“ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ჩვენს დედაქალაქში პარიზის თეატრმა „ატელიემ“ დამთავარა თავისი გასტროლები. მაყურებლებმა ნახეს ბოარშეს „სეგლიელი დალაქი“, ანრი მონიეს „დაკრძალვა“, ტურგენევის „ერთი თვე სოფლად“, და ჟან ანუის „ანტიგონე“, ამ ცნობილი თანამედროვე დრამატურგის მეორე პიესა „ტოროლა“ (ჟანა დ' არკი) მარჯანიშვილის თეატრმა თავის მაყურებლებს წელს გააცნო.

დღემდე ქართველი მაყურებელი ფრანგულ თეატრს „დედაწმინდა“ არ იცნობდა და ამ მხრივ უთუოდ საგულისხმო პარიზელ მსახიობთა შემოქმედებითი ვიზიტი.

ცნობილია, რომ „დედნის“ გაგებას ენის ცოდნა სჭირდებოდა და საამისო საშუალება ჩვენი მაყურებლის საკმაოდ დიდ ნაწილს ჰქონდა. ამასთანავე იმ გარემოებამაც, რომ ენა ყველას არ ესმოდა, ნათელყო ფრანგ მსახიობთა და ჩვენს მაყურებელთა შორის ერთბაშად გაბმული კონტაქტის წმინდა თეატრალური არსი.

ამ კონტაქტის დამყარებას ერთგვარად ჩვენმა სტუმრებმაც შეუწყეს ხელი: არჩიეს, რომ „გაცნობა“ თავდაპირველად იმ კომედიური სპექტაკლით დაწყებულიყო, რომელიც იმდენადვე გამორჩეული ინტონაციური ჟღერადობით, რამდენადაც თეატრალური პირობითობის საერთაშორისო ენით. და განა ამ აშკარად გასაგები ენით არ ამეტყველდა ერთ-ერთი საწყისი სცენა?.. ქოლგებით შეიარაღებული გამოწკიპულ ცილინდროსნები დაკრძალვის საბაბით სალაზღანდაროდ მიიჩქარიან... სიარულსა და მიხვრა-მოხვრაში თვითეული მეჩანის საანკეტო ცნობებს ამოიკითხავთ... მოჩვენებითი გულმავიწყობა საოცრად აბაშვილებდა ამ ქაიუნების საკმაოდ პროზაულ სადარდებელს... ასევე ზუსტად გამიზნული თეატრალური პირობითობის წყალობით შესაძლებელი გახდა, რომ ხუთი უპარალო ვენური სკამიდან თვალის დახამხამებაში წარმოქმნილიყო ლუი ფილიპეს დროინდელი კარეტა და ჩვენ, მაყურებლებს, ოდნავაც არ შეგვპაროდა ექვი რეჟისორის ამ ჯადოსნობაში.

მაგრამ რეჟისორი თითქოს მაინც არ დასჯერდა ავტორის კრიტიკული პათოსის ძალას, დაავიდა დღეიდაგ ქვე-ქვე მძრომ ამ ენატარტალ მეშჩანებს, ლხინში თუ ჭირში, ნათლობასა თუ დაკრძალვაზე წასაგლეჯი ლუკმის ძებნაში თვალის კაკლებიც რომ ებერებათ. როგორც ჩანს, რეჟისორ ბარბაას ამჯერად მონიეს ძველი მთრახი ეპატარაჯა და ამ მელაკუდა ცილინდროსანთა ხროვაზე თავისი რეჟისორული ფანდით იჭერა გული. ჯერ იყო და ამ ვაჟბატონებს თავისი ნახელავი „კარტები“ მიართვა და მერე ისეთი ოღრო-ჩოღრო გზებით ატარა, რომ ფერდებჩამტვრეულებს და საკუდმდაბეიტლებს გაჩენის დღე აწყევლინა. ცხადია, ფანდი ფანდად დარჩებოდა, რომ მისთვის აქტიორულად ხროკი არ შეესხათ ოლივიე იუსენოს, მონკორბიეს, რობერ ეჩევერის, ანდრე ბუკრის, ბერნარ რუსელს, ჟაკ ფრანსუას, ყველას, ვინც კი მის განხორციელებაში თავისი წვლილი შეიტანა.

საღვინის უთქვამს, „მაყურებელთა ტაში ყოველთვის ბაჯაღლო ოქრო როდიაო“. ჩვენი სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს კარგად ესმით. ამიტომაც იყო, რომ ამ საკმაოდ მსუბუქ კომედიაში, ერთადერთ საჩოთირო დეტალს გარდა, არაფერი შეგვნიშნავს ისეთი, რაც ოდნავაც კი გაუმართლებელი მოგვეჩვენებოდა. მაყურებელი გულახდილი ტაშით შეხვდა მსახიობთა მახვილ საშემსრულებლო მანერას, მათს არტისტულ სიზუსტეს, ბარსაკის რეჟისორულ გონებამახვილობას. მაგრამ იქ იყო უფრო არსებითი მომენტიც— სოლიდარობა, სოლიდარობა იმ თეატრის მიმართ, რომელიც მეშჩანობის გამათრახებით ადამიანურ ღირსებას იცავდა.

მხოლოდ მცირე შესვენება აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ მონიეს მსუბუქი ანეგდოტიდან ანუის ფილოსოფიური დრამის ლაბირინთში მოვხვედრილიყავით, რა უნდა ყოფილიყო გასაკვირველი? და მაინც „ატელიეს“ ახლად თვალწინ გადაშლილმა შემოქმედებამ შესაძლებლობამ ჩვენი ყურადღება უჩვეულოდ დაძაბა. იიხადა ფარდა, და ის ღიმილი, რომელიც ჯერ კიდევ ანტრაქტშიც გამოგვყვა, უნებურად გაქრა... სცენის სიღრმეში ფიქრით მოცული ქალი წელში გასწორდა და ელვარე თვალებით ჩვენსკენ წამოვიდა... ძნელია მოკლე საგაზეთო სტრიქონებში დატეო კატონ სელერის გრძნობათა გრადაციის ნიუანსები და მათი ფერადოვნების სიმდიდრე, გამოხატო ან აღწერო ამ გრძნობათა საოცარი აზვირთება ანტიგონეს პირადი რწმენის საკურთხეველთან. იმპოზანტური და შთამბეჭდავი იყო ჟან დევის მეფე კრეონი, საზრიანად დახატული როგორც ღონიერი მონა საკუთარი კანონისა. დიდი გზნებით მიჰყვიოთ სელერსა და დევის ოთახრბილოლა, ამოუსუნთქავად რომ გასდევს მთელ ტრაგედიას. აქვე არ შემიძლია არ ვახსენო იუსენოს ხარბი მეკიბოვნე, ამაზზეწილ მოღიმარი მოსაქმე — მონკორბიე და ჟან ფრანსუას იშვიათად პლასტიური ქორო.

ვერაფერს ვამბობ ტურგენევისეულ სპექტაკლზე „ერთი თვე სოფლად“. „რომელსაც განსაკუთრებული მოწონება ხვდა ჩვენი სტუმრების სპექტაკლებს შორის. იგი პარადოქსალურად ქღერს, მაგრამ ზოგჯერ შთაბეჭდილების განსაკუთრებულობა გვადუმებს ხოლმე. ვერაფერს ვამბობ დელფინ სეირიგის და ელიზაბეტ ალენის ქარგული დიალოგზე, ჟაკ ფრანსუას რაკეტინის გარინდებით მოლაპარაკე ხელებზე, რომლებსაც თითქოს საგულდაგულო მოსმენის უნარიც გააჩნიათ და უჩვეულო მუსიკალობის გრძნობითა და პლასტიურობითაც გამოირჩევიან, მაგრამ არავითარი საკმისათვის უნარი არ შეუწყვეთ, ვერაფრის შექმნა და ვერც ვერაფრის მიღწევა შეუძლიათ.

ჩვენი მაყურებლებისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ „ატელიეს“ სცენაზე ბომარშეს კომედიამ მოლოდინი არ გაამართლა. მაყურებლები განსაკუთრებით ელოდნენ ამ კარგად ნაცნობი პიესას ამეტყველებას დედაენაზე, ელოდნენ, რომ თეატრი, ასე ეთქვათ, თავის სტიქიაში იმოქმედებდა. მაგრამ საკუთარი სტიქიის ჯეროვანი გამოელინება, თუნდაც თავისთავად არ ხდება და ეს გაცილებით უფრო რთული და ძნელად გადასაჭრელი საკითხია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, და იმისათვისაც უნდა ვუთხრათ სტუმრებს მადლობა, რომ ამ რთულ საკითხზე ჩაგვაფიქრეს.

„ატელიეს“ თეატრის გასტროლები დასრულდა. ფრანგი მსახიობების სპექტაკლებს ჩვენი საზოგადოებრიობა ბუნებრივი ინტერესით შეხვდა და კმაყოფილი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ კულტურული კონტაქტები უეჭველად სასარგებლოა.

მ. ᲒᲘᲥᲘᲛᲣᲠᲔᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ᲡᲪᲔᲜᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔ „ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲓᲐᲜ“.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



ᲖᲔᲘᲛᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ IV ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ სპორტის ღირსება მის ხალხურობასა და მასობრივობაშია. ეს ყველაზე ნათლად ვლინდება ისეთ დიდ ასპარეზობებში, როგორიც სპარტაკიადებია.

პროფკავშირული სპარტაკიადები ერთ-ერთი მასობრივი სპორტული ღონისძიებაა, რომელიც ასეულ ათასობით მშრომელს ისიდავს. ეს შეჯიბრება საქართველოში მეოთხეჯერ ეწყობა და მოიცავს სპორტის 28 სახეობას.

სპარტაკიადამ სტარტი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში აიღო. იგი მოეწყო საწარმოთა ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, პროფკავშირულ სასპორტო საზოგადოებებში. და აი საუკეთესონი, ისინი, ვინც თავი ისახელა შრომასა და სპორტში, შეიკრიბნენ დიდ სპორტულ ზეიმზე, რათა ერთხელ კიდევ ეჩვენებინათ თავიანთი ოსტატობა.

ეს ზეიმი გასულ კვირადღეს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა. ლამაზად იყო მორთული სტადიონის მისადგომები, ტრიბუნები პლაკატებით, ლოზუნგებით, ნაირფერი ალმებით.

ფანფარების ხმამ სპარტაკიადის დაწყება გვაცნო. მოედანზე შემოდიან მედროშეები. მათ მოუძღვებიან ცნობილი მოჭიდავე დ. გეგანცელაძე. საქართველოს სსრ ალაში მოაქვთ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილ სპორტსმენებს მრგოლოვას, ივანოვას, ქაკაიას, მაჩხანდელს, ბაბახიძეს, ბალიაურს. მათ მიჰყვებიან მრავალ ასპარეზობაში სახელგანთქმული სპორტსმენები, სხვ კავშირისა და სპარტაკიადების ჩემპიონები, მწყობრად მოდიან ფიზკულტურელთა კოლონები. ესენი არიან „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენები.

პარადი მიიღო საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ, სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. დოლიძემ. სპორტსმენებს მიესალმა აგრეთვე საკავშირო პროფსაბჭოს სასპორტო საზოგადოებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. სპირიდოვი.

სამმრეთ ტრიბუნიდან სარბენ ბილიკზე ჩირაღდნით ხელში გამოჩნდა საქართველოს ჩემპიონი მ. ტუღუში, რომელმაც სტადიონის ცენტრალურ თაღზე ააგიზგიზა ჩირაღდანი. საქართველოს სახელმწიფო ალაში აღმართეს ჩვენმა გამოჩენილმა სპორტსმენებმა. ეღერს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

სპორტსმენთა კოლონებმა ლამაზად ჩაუარეს ცენტრალურ ტრიბუნას. მათ მიაცილებდა ათასობით მაყურებლის ერთსულოვანი ტაში. ტრიბუნების წინ გაჩაღდა ქართული ჭიდაობა. სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ წარმომადგენლებმა აჩვენეს მიმზიდველი ჰაეკრობა. მოეწყო აგრეთვე 100 მეტრიანი 4×100 მეტრზე ვაჟთათვის და ამანათრბენი 4×100 მეტრზე ვაჟთათვის.

აქვე „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენებმა აჩვენეს მასობრივი ვარჯიში, რომელმაც საერთო მოწონება დაიმსახურა. მუსიკის თანხლებით ახალგაზრდა სპორტსმენებმა შეასრულეს შრომის, დასვენებისა და ჯანმრთელობის ამსახველი ვარჯიშები. საერთოდ სპარტაკიადის გახსნის ორგანიზაცია ჩინებულად იყო მოწყობილი.

გუშინ გაიმართა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები.

უკვე გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულნი.

ჩოგბურთელთა, ველოსპორტსმენთა და შაბიანტთა შორის პირველნი იყვნენ „განთიადის“ სპორტსმენები. „ბურევესტნიკის“ გუნდმა გაიმარჯვა ხელბურთსა და თავისუფალ ჭიდაობაში, წყალბურთში ყველას აჯობეს „ლოკომოტივის“ წარმომადგენლებმა.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: საქართველოს პროფკავშირთა IV საზაფხულო სპარტაკიადის ზეიმი გახსნა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ ᲔᲡ ᲐᲠ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐ

ᲓᲦᲔᲡ ქვეყნდება „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ცხრილი.

სამწუხაროდ, ჩემპიონის — თბილისის „დინამოს“ მდგომარეობა, როგორც ვხედავთ არასახარბიელია.

უკანასკნელ სამ მატჩში ხუთი ქულის დაკარგვა, ისიც საკუთარ მოედანზე, თითქოს დაუჯერებელიც კია. თბილისელ გულშემატკივრებს არც ახსოვთ ასეთი წარუმატებლობა საკუთარ სტადიონზე. ცხადია, ოქროს მედლების მფლობელთა წინააღმდეგ ყოველთვის განსაკუთრებული მონდომებით იბრძვიან, მაგრამ ჩემპიონიც ხომ ჩემპიონის შესაფერისად უნდა თამაშობდეს!

უფრო საწყენი ის არის, რომ მკვიდრდება მეტად არასასიამოვნო ტრადიცია. აი გუნდები მოედანზე გამოვიდნენ, მაყურებელმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრო თავისი ადგილის დაკავება, და ჩემპიონის ბადეში უკვე ბურთი გახვეული. ეს უმთავრესად გუნდის მცველთა მიზეზით ხდება. დამარცხების საშიშროების წინაშე მდგარი დინამოელები ბოლოს როგორღაც გამოფხიზლდებიან, ძალებს იკრებენ, მაგრამ ამაოდ, გვიანღაა.

ამ მხრივ არც დონეცკის „შახტიორთან“ გუშინწინდელი მატჩი წარმოადგენდა გამონაკლისს. გულსატკივნი მარტო ის როდია, რომ თბილისელებმა ქულა დაკარგეს, არამედ ისიც, რომ მაყურებელს იმედი გაუცრუვდა, ფიქრობდა ჩემპიონი საჭირო დასკვნებს გაკეთებდა ზედიზედ დამარცხებიდან. მართალია, 24-ე წუთზე „შახტიორის“ კარი აიღეს (ეს გააკეთა **ბარკაიამ**), მაგრამ მეორე ნახევრის პირველსავე წუთზე მეკარე **კოტრიკაძემ** 28-30 მეტრიდან **ზუბკოვის** საჯარიმო დარტყმით მიუტევებელი ბურთი გაუშვა საკუთარ კარში.

ასეა თუ ისე, კიდევ ერთი ქულა დაიკარგა.

ჩემპიონს ასეთი თამაში არ ეკადრება.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲡᲠᲘᲣᲚᲘ

ᲐᲡᲔ ᲠᲝᲓᲔᲛᲓᲘᲡ?

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ტორპედოელებს მორიგი მატჩი ფეხბურთში დონის როსტოვში ჰქონდათ. არმიის სასპორტო კლუბის მიერ გატანილ სამ ბურთს მათ მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს. „ტორპედომ“ მეშვიდე დამარცხება განიცადა. დონის როსტოვის სკა-დან ბურთები გაიტანეს **კოპაევმა** (2) და **ბუროვმა** (1) „ტორპედოდან“ — **ასიტაშვილმა.**

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

20 ᲓᲐ 21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ „Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘ „ნიფტალანი“ ეწვია. მასპინძლებმა სტუმართმოყვარეობა როდი გამოიჩინეს და დამარცხეს მეტოქე 3:1. კუიბიშეველებიდან ბურთები გაიტანეს ა. **ᲙᲐᲮᲘᲫᲔᲛᲐ**, **ᲨᲣᲙᲘᲜᲐ** და **ᲙᲝᲜᲝᲕᲐ**. „ნიფტალანის“ ერთადერთი გოლის ავტორი იყო **მელქუმოვი.**

სსრ კავშირის ათეული ჩემპიონის მოსკოვის „დინამოს“ საკუთარ მოედანზე პაექრობა ჰქონდა მინსკელ თანაკუთვნელებთან. 90 წუთი ისე ამოიწურა, რომ მეტოქეებს ბურთი არ გაეტანათ და აქეთ-იქეთ თითო ქულა ჩაიწერეს.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ჯგუფის წარმომადგენელს — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს **მატჩი ჰქონდა** ოდესაში „ჩერნომორეცთან“. არმიელი **ბ. ᲙᲐᲖᲐᲙᲝᲕᲘᲡ** ორ გოლს მასპინძლებმა ვერაფერით უპასუხეს.

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲨᲘ თამაშობდნენ „ზენიტი“ და ტაშკენტის „პახტაკორი“. შეხვედრის შედეგია 3:2 ტაშკენტელთა სასარგებლოდ.

ᲛᲐᲢᲩᲘ მოსკოვში დედაქალაქის „ლოკომოტივსა“ და ოდესის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს შორის დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 2:0.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

მდგომარეობა 22 ივნისისათვის

	ᲗᲐ	Მ	Ფ	Უ	ᲒᲐ-ᲜᲐ	ᲥᲣ
„ტორპედო“ (მ.)	9	6	2	1	15-3	14
ᲪᲮᲐᲐ	9	4	4	1	10-3	12
„სპარტაკი“ (მ.)	9	5	1	3	12-7	11
„შახტიორი“ (დ.).	9	4	3	2	12-10	11
„დინამო“ (მნ.)	8	4	2	2	9-4	10
„დინამო“ (კ.)	8	4	2	2	9-5	10
„დინამო“ (თბ.)	8	3	3	2	11-9	9
„კრ. სოვ“ (კუიბ.)	8	4	1	3	10-9	9
„ნეფტჩენიკი“ (ბ.)	9	4	1	4	8-9	9
„ლოკომოტივი“ (მ.)	8	3	2	3	8-7	8
„ᲐᲯᲐ (როსტ.)	8	2	4	2	8-8	8
„დინამო“ (მ.)	9	2	4	3	6-7	8
„ზენიტი“ (ლ.)	9	2	3	4	9-10	7
„პახტაკორი“ (ტ.)	8	2	3	3	7-10	7
„ჩერნომორეცი“ (ო.)	9	2	1	5	10-13	7
„ᲐᲯᲐ (ო.)	8	0	2	6	4-15	2
„ტორპედო“ (ქ.)	8	1	0	7	2-18	2

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

△ **ᲓᲐᲜᲘᲘᲡ** ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა მოაკოდა, გამომგზავრებამდე წინ ჯამართა საერთაშორისო მატჩი შვედ ყვეხბურთელებთან. ეს იყო მაოფლიოს რემპიონატის მორიგი შესარჩევი შეჯიბრება. წინ ძალთა შემოწმება, გენერალური რეპეტიცია. მაჯურ ბრძოლაში გიმარჯვეს დანიელებმა ანგარიშით 2:1.

△ **ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ** მატჩი ზაპოროჟიეში „მეტალურგისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 0.0.

△ **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲨᲘ** დამთავრდა საქართველოს პირველობა ცხენოსნობაში. პირველი სამი ადგილი თანმიმდევრულად გაინაწილეს თბილისს, ზუგდიდისა და გულრიფშის გუნდებმა.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Დ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲗᲔᲐᲢᲠ „ᲐᲢᲔᲚᲘᲔᲡ“ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲗᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ საზოგადოება „სსრ კავშირ-საფრანგეთი“ საქართველოს განყოფილებამ დარბაზობა გაუმართეს თეატრ „ატელიეს“ მსახიობებს, რომლებიც სგასტროლოდ არიან თბილისში.

ბევრი საინტერესო რამ მოელოდათ ფრანგ სტუმრებს დარბაზობაზე. კინორეჟისორმა შ. გედევანიშვილმა, რომელსაც პარიზში უცხოეთია, მოიტანა თეატრ „ატელიეს“ 1925-1926 წლების სეზონის პროგრამა, თეატრ „ატელიეს“ დამდგმელი რეჟისორის ვასო ყუშიტაშვილის სადარბაზო ბარათი. რეჟისორ ყუშიტაშვილის დამ სტუმრებს უჩვენა დროისგან გამოხუნებული წერილი,- რომელშიც ამბ ატყობინებდა მას, რომ სპექტაკლ „მარაოს“ გაფორმება დაავალა ნიჭიერ მსატვარს ანდრე ბარსაკს, რომელიც ამჟამად თეატრის ხელმძღვანელია.

საფრანგეთის თეატრმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ მაყურებელზე, შეიძინა აქ ბევრი თაყვანისმცემელი. „ატელიე“ ძვირფასია ჩვენთვის იმითაც, რომ მის შექმნაში გარკვეული როლი შეასრულა ვ. ყუშიტაშვილმა. მეგობრობის დიდი ტრადიციები აკავშირებს ერთმანეთთან ფრანგულ და ქართულ თეატრებს. საფრანგეთში მიიღეს თეატრალური განათლება გ. მესხმა, გ. ჯაბადარმა, კ. ანდრონიკაშვილმა. საქართველოში იდგმებოდა კორნელის, რასინის, როსტანის, ბომარშეს, პიუგოს ნაწარმოებები, ახლახან კი მაყურებლები გაეცვნენ ჟან ანუის შემოქმედებას. მისი პიესა დადგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

ამაზე ილაპარაკეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ამირანაშვილმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ვ. გოძიაშვილმა და ა. ვასაძემ, დრამატურგმა ო. ჩიჯავაძემ, თეატრმცოდნემ ნ. შალუტაშვილმა.

თეატრ „ატელიეს“ ხელმძღვანელმა ანდრე ბარსაკმა მადლობა უძღვნა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებრიობას გულთბილი მიღებისათვის, კეთილმოსურნეობისა და გულითადობისათვის, რასაც მსახიობები არასოდეს არ დაივიწყებენ.

დარბაზობის შემდეგ ფრანგი მსახიობები ეწვივნენ მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრს, სადაც მათ აჩვენეს ვ. ყუშიტაშვილის დადგმების ესკიზებისა და ფოტოსურათების გამოფენა. შემდეგ სტუმართა ჯგუფი ა. ბარსაკის მეთაურობით მივიდა დიდუბის პანთეონში და ყვავილებით შეამკო ვ. ყუშიტაშვილის საფლავი.

სპექტაკლ „სვეიციელი დაქალით“ თეატრმა „ატელიემ“ დაამთავრა ექვსი დღის გასტროლები თბილისში. ფრანგი მსახიობები ეწევიან მიემგზავრებიან.

(საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

1965-66 ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ:

1. სამსახიობო ფაკულტეტზე (დრამისა და მუსიკალური კომედიის-საესტრადო დასწრებულ განყოფილებებზე)

2. სარეჟისორო ფაკულტეტის საბალეტმეისტერო დასწრებულ განყოფილებაზე.

3. თეატრმცოდნეობისა და სამსახიობო დაუსწრებელ ფაკულტეტებზე.

1. სამსახიობო ფაკულტეტი ამზადებს დრამის, კინოსა და მუსიკალური კომედიის—ესტრადის მსახიობებს, **სარეჟისორო** — რეჟისორ-ბალეტმეისტერებს, **ხოლო თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი** — თეატრმცოდნეებს.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები (სამსახიობო ფაკულტეტზე 26 წლის ასაკამდე). სამსახიობო, სარეჟისორო-საბალეტმეისტერო და თეატრმცოდნეობის ფაკულტეტებზე სწავლების ვადა 4 წელია, მუსიკომედიის-საესტრადო განყოფილებაზე 4,5 წელი. სამსახიობო ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან ის აბიტურიენტები, რომლებიც მუშაობენ თეატრებში და გამოავლინეს თავი როგორც ნიჭიერმა პროფესიონალებმა.

სამსახიობო ფაკულტეტზე (დასწრებულსა და დაუსწრებელზე) **შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს:** 1. სპეციალობაში: ა) ლიტერატურული ნაწარმოების ზეპირი კითხვა (ლექსი, ოგვა-არაკი, პროზაული ან დრამატიული ნაწყვეტი); ბ) მუსიკალური მონაცემების შემოწმება (სმენა, რიტმი); გ) **გასაუბრება,** რომელიც გამომძიებლებს ინსტიტუტში შემსვლელის კულტურის საერთო დონეს და ცოდნას თეატრისა და დრამატურგიის დარგში. მუსიკალური კომედიის-საესტრადო განყოფილებაზე შემსვლელნი გარდა ზემოაღნიშნული საგნებისა დამატებით აბარებენ გამოცდას ვოკალში (ორი ან სამი მუსიკალური ნაწარმოების შესრულება).

2. სარეჟისორო ფაკულტეტის საბალეტმეისტერო განყოფილებაზე შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს: 1. სპეციალობაში: ა) შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს წერითი სამუშაო (საბალეტო სპექტაკლის ანალიზი, ლიბრეტო, სცენეკვო სიუჟეტური ნომრისა ან რომელიმე ბალეტის ერთი მოქმედების სარეჟისორო გეგმა); ბ) გამოცდის პირიოდში ეძლევათ წერითი სამუშაო ერთ-ერთ მიცემულ თემაზე (საბალეტო წარმოდგენის ანალიზი, ბალეტის რეჟისორული გეგმა, საბალეტო სპექტაკლის ლიბრეტო); გ) წარმოდგენილი სამუშაოსა და საკლასო შრომის საფუძველზე ტარდება **გასაუბრება** რეჟისორული მონაცემებისა და საერთო **კულტურული** დონის გამომძიებელებისათვის.

2. გამოცდა ცეკვაში: ა) კლასიკური, ხალხური და ისტორიული ცეკვების შესრულება ქორეოგრაფიული სასწავლებლის პროგრამის მოცულობით; ბ) საცეკვაო ეტიუდის კომპოზიცია.

3. გამოცდა მუსიკალურ ანბანში: ა) მუსიკალური მონაცემების შემოწმება; ბ) მუსიკალური ანბანის ცოდნა და რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტის ფლობა.

3. თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს: 1. სპეციალობაში: ა) გასაუბრება, რომელიც გამომძიებლებს ინსტიტუტში შემსვლელის საერთო კულტურის დონეს, ქართული, რუსული და უცხოეთის თეატრების ისტორიის ძირითადი ეტაპების, კლასიკური და თანამედროვე რეპერტუარის ცოდნას; ბ) აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს წერითი სამუშაო (დრამატიული ნაწარმოების ან სპექტაკლის ანალიზი); გ) გამოცდების დროს აბიტურიენტს ეძლევა წერითი სამუშაო ერთ-ერთ მიცემულ თემაზე.

საერთო განათლების საგნებიდან აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი); 2. სსრკ ხალხთა ისტორიაში.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე შემსვლელის მიერ შერჩეული ფაკულტეტისა და სპეციალობის ჩვენებით.

განცხადებას უნდა დაერთოს: დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია, სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 4 ფოტოსურათი (სურათი უქუდოდ, ზომა 3×4), უმაღლეს სასწავლებელში საბუთების შეტანისას შემსვლელი პირადად წარმოადგენს პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედრო ვალდებული) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი), დახასიათებას უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაცემულს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების მიერ სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების ან კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო საშუალო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის ლონშინული სასწავლებლების პედაგოგიური საბჭოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი უმაღლეს სასწავლებელში დახასიათებას წარმოადგენენ სამხედრო ნაწილის მეთაურისაგან.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 10 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 12 ივლისს.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღები კომისიის მდივანთან ყოველდღე 2-5 საათამდე.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი 17, ტელ. № 3-10-74.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

**ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑ